საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გურიის ქედი

გურიის ქედი, ნიგოითის სერი, დაბალი განედური ქედი დასავლეთ საქართველოში, კოლხეთის დაბლობის სამხრეთ კიდეზე. მესხეთის ქედის ჩრდ. განშტოება.

სამხრეთიდან გამოყოფილია სუფსის ხეობით. ქედის უმაღლესი წერტილია მთა ბურნარ-საცხვარო (678 მ), მთები: ბურნათი (498 მ), ტალახა (667 მ), საირაო (475 მ), სამება (522 მ). ქედის შუა მონაკვეთი ცნობილია საირაოს სერის სახელწოდებით.

აგებულია მესამეული ვულკანოგენური ფაციესის ნალექებით. ხასიათდება ტექტონ.-ეროზიული რელიეფით. ქედის კალთები ციცაბოა, განსაკუთრებით აღმ. ნაწილში.

დ. უკლება